საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი

ბრძანება № 1206

თბილისი „25“ 12 2017 წ.

„საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 30 დეკემბრის N1009 ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადი განათლების ხელშეწყობის პროგრამის“ ფარგლებში მოსწავლეთა ფოტოკონკურსი „ჩემი სკოლის ბუფეტი“ და ვიდეო რგოლებისა და სლოგანების კონკურსის გამოცხადებისა და საკონკურსო პირობების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 26 ოქტომბრის N955 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის საფუძველზე და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ზოგადი განათლების მართვისა და განვითარების დეპარტამენტის უფროსის 2017 წლის 20 დეკემბრის N1557443 მოხსენებითი ბარათისა და ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსის ფუნქციების შემსრულებლის 2017 წლის 22 დეკემბრის N1571005 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით

ვბრძანებ:

1. „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 30 დეკემბრის N1009 ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადი განათლების ხელშეწყობის პროგრამის“ ფარგლებში მოსწავლეთა ფოტოკონკურსი „ჩემი სკოლის ბუფეტი“ და ვიდეო რგოლებისა და სლოგანების კონკურსის გამოცხადებისა და საკონკურსო პირობების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 26 ოქტომბრის N955 ბრძანებაში შეტანილ იქნას ცვლილება და ბრძანების პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით დამტკიცებული ვიდეო რგოლებისა და სლოგანების კონკურსი და საკონკურსო პირობები (დანართი 2) ჩამოყალიბდეს ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.
2. დაევალოს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტს ამ ბრძანების გამოქვეყნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე.
3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6).

მიხეილ ჩხენკელი

დანართი

ვიდეო რგოლებისა და სლოგანების კონკურსი

ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაციის მიზნით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო აცხადებს ვიდეო რგოლებისა და სლოგანების კონკურსს, რომელიც ხელს შეუწყობს მოსწავლეებს შორის ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას, კერძოდ: ჯანსაღი კვებისა და ფიზიკური აქტივობის პოპულარიზაციას, ასევე მავნე ჩვევების (თამბაქო, ალკოჰოლი, ნარკოტიკული ნივთიერებები და ა.შ.) დაგმობას.

სკოლის ადმინისტრაციის ორგანიზებით ჩატარდება ვიდეო რგოლებისა და სლოგანების კონკურსი, რომლის ფარგლებში მოსწავლეები ჯანსაღი ცხოვრების წესის თემაზე შექმნიან ვიდეო რგოლებსა და სლოგანებს.

ვიდეო რგოლების საკონკურსო პირობები

- კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ საჯარო და კერძო სკოლების **საბაზო - საშუალო** საფეხურის მოსწავლეებს, როგორც ინდივიდუალურად, ისე ჯგუფის სახით;
- ვიდეო რგოლი შექმნილი უნდა იყოს სპეციალურად ამ კონკურსისთვის;
- ვიდეო რგოლის გადაღება შესაძლებელია ნებისმიერი ვიდეო გადამღები მოწყობილობით (ვიდეოკამერა, მობილური ტელეფონი, ფოტო აპარატი და სხვა);
- ვიდეო რგოლის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 6 წუთს.

შეფასების კრიტერიუმები:

- თემასთან შესაბამისობა;
- აზრის ორიგინალურად გადმოცემის უნარები.

შენიშვნა: საკონკურსო მასალის შეფასებისას ყურადღება მიექცევა ვიდეო რგოლის შინაარსის აქტუალობასა და კონკურსის თემატიკასთან შესაბამისობას, მის პოტენციალს, დადებითი გავლენა მოახდინოს საზოგადოებაზე, ვიდეო რგოლის ინფორმაციულობას და აზრობრივად ეფექტურ მონტაჟს, თემატური სიუჟეტისთვის აუდიო-ვიზუალური მასალის გამოყენებას (სინქრონი, „სთენდაპი“ და სხვა), მოვლენის, ფაქტის ანალიზს და ავტორისეულ შეფასებას. მნიშვნელოვანია, ნაშრომები არ იძლეოდნენ რეალური პერსონების იდენტიფიცირების საშუალებას; გამოხატავდეს პოზიტივს და არა აგრესიას. პლაგიატის შემთხვევაში ნაშრომები არ განიხილება.

სლოგანების საკონკურსო პირობები

- კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ საჯარო და კერძო სკოლების **საბაზო - საშუალო** საფეხურის მოსწავლეებს, როგორც ინდივიდუალურად, ისე ჯგუფის სახით. ჯგუფში მოსწავლეთა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 3 მოსწავლეს;
- სლოგანი შექმნილი უნდა იყოს სპეციალურად ამ კონკურსისთვის;
- სასურველია, სლოგანების შექმნისას, მოსწავლეებმა გამოიყენონ კრეატიული და ორიგინალური მიდგომები.

შეფასების კრიტერიუმები:

- თემასთან შესაბამისობა;
- აზრის ორიგინალურად გადმოცემის უნარები.

შენიშვნა: ნაშრომები არ უნდა იძლეოდნენ რეალური პერსონების იდენტიფიცირების საშუალებას. ასევე, უნდა გამოხატავდეს პოზიტივს და არა აგრესიას. პლაგიატის შემთხვევაში ნაშრომები არ განიხილება.

კონკურსების ლოჯისტიკა:

კონკურსები ჩატარდება 3 ეტაპად: სასკოლო, მუნიციპალური და დასკვნითი ტურები.

თითოეული **სკოლა** გამოავლენს არა უმეტეს **ერთ** გამარჯვებულ ვიდეო რგოლს, რომელიც სკოლის ადმინისტრაციის მიერ განთავსდება (აიტვირთება) ვებგვერდზე www.youtube.com. აღნიშნულ ინტერნეტ ბმულს წარადგენს შესაბამის საგანმანათლებლო რესურსცენტრში (შემდგომში - რესურსცენტრი):

თითოეული **სკოლა** გამოავლენს არა უმეტეს **ორ** გამარჯვებულ სლოგანს, რომელიც წარდგენილ იქნება შესაბამის რესურსცენტრში.

- სასკოლო ტურის ორგანიზებას და გამარჯვებულების გამოვლენას უზრუნველყოფს სკოლა. სკოლამ მის მიერ ორგანიზებულ თითოეულ კონკურსში უნდა გამოავლინოს:

–სლოგანების კონკურსში - 2 გამარჯვებული სლოგანი;
–ვიდეო რგოლების კონკურსში - არაუმეტეს 1 გამარჯვებული ვიდეო რგოლი.

- მუნიციპალურ ტურში გამარჯვებულებს გამოავლენს შესაბამისი რესურსცენტრი:

–სლოგანების კონკურსში - არაუმეტეს **3** გამარჯვებული სლოგანი;
–ვიდეო რგოლების კონკურსში - არაუმეტეს **3** გამარჯვებული ვიდეო რგოლი.

- დასკვნით ტურში გამარჯვებულებს გამოავლენს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ დამტკიცებული კომისია:

–სლოგანების კონკურსში გამოვლინდება საუკეთესო სამეული (3 საპრიზო ადგილი);
–ვიდეო რგოლების კონკურსში გამოვლინდება საუკეთესო სამეული (3 საპრიზო ადგილი);

კომისია უფლებამოსილია, საკონკურსო მასალების შესრულების ხარისხიდან გამომდინარე, რომელიმე ზემოაღნიშნულ საპრიზო ადგილზე არ წარადგინოს გამარჯვებული.

დაჯილდოება:

ვიდეო რგოლების კონკურსში გამოვლენილი **I, II, III ადგილებზე** გასული ნამუშევრის ავტორი/ავტორები დაჯილდოვდებიან დიპლომებით და შესაბამისად 800, 700, 600 ლარის ოდენობის, შესაბამისი სამართლებრივი აქტით განსაზღვრული, ჯილდოზე დაწესებული ფულადი პრემიით (ნაღდი/უნაღდო ანგარიშსწორებით).

სლოგანების კონკურსში გამოვლენილი I, II, III **ადგილებზე** გასული ნამუშევრის ავტორი/ავტორები დაჯილდოვდებიან დიპლომითა და შესაბამისად 500, 400, 300 ლარის ოდენობის, შესაბამისი სამართლებრივი აქტით განსაზღვრული, ჯილდოზე დაწესებული ფულადი პრემიით (ნაღდი/უნაღდო ანგარიშსწორებით).

შენიშვნა: იმ შემთხვევაში, თუ ვიდეო რგოლებისა და სლოგანების კონკურსში გამარჯვებული ნამუშევრები შექმნილია ერთზე მეტი მოსწავლის ავტორობით, შესაბამისად, ფულადი პრიზი (თანხა) თანაბრად განაწილდება თითოეულ კონკურსანტზე/მოსწავლეზე.

(კონკურსანტების დაჯილდოების პირობები განსაზღვრულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 18 დეკემბრის N 1147 ბრძანებით)

ვადები:

- სასკოლო ტურის ორგანიზება, გამარჯვებულების გამოვლენა, გამარჯვებული სლოგანებისა და გამარჯვებული ვიდეო რგოლის ინტერნეტ ბმულის შესაბამის რესურსცენტრში წარდგენა - არაუგვიანეს 2017 წლის 15 ნოემბრისა;
- მუნიციპალური ტურის ორგანიზება და გამარჯვებულების გამოვლენა - არაუგვიანეს 2017 წლის 30 ნოემბრისა.

	ბიუჯეტი	
#	დანახარჯის სახე	მთლიანი ოდენობა
1	ვიდეო რგოლების კონკურის საპრიზო ფონდი	
1.1	I ადგილი	800
1.2	II ადგილი	700
1.3	III ადგილი	600
2	სლოგანების კონკურსის საპრიზო ფონდი	
2.1	I ადგილი	500
2.2	II ადგილი	400
2.3	III ადგილი	300
	ჯამი	3,300.00